აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების კომისიის სხდომის

ოქმი №3

ქ.ბათუმი 21.03.2014 წ.

სხდომას უძღვებოდა პრიორიტეტების კომისიის თავმჯდომარე - რამაზ ბოლქვაძე (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის მოადგილე).

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის წევრები:

იოსებ აბულაძე	-	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე;
რომან ბოლქვაძე	-	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველიმოადგილე;
ვალერი ბერაძე	-	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე;
კახა შაშიკაძე	-	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის უფროსი;
კომისიის მდივანი	-	ცირა აბულაძე.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

ნათია აფხაზავა - „სი-ეს-აი“ ბათუმის ფილიალის დირექტორი;

ციალა ქათამიძე - ა(ა)იპ „ბორჯღალი“-ს აღმასრულებელი დირექტორი;

გიორგი შალამბერიძე - შპს „IGC&MM“-ის დირექტორის მოადგილე, ეკონომისტი.

დღის წესრიგი:

ინფორმაცია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2014 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებულ პროგრამებში - ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ინვენტარით აღჭურვა", ,,განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა", ,,განათლების ხარისხის გაუმჯობესება", ,,საშემსრულებლო ხელოვნების ხელშეწყობა", ,,აჭარაში კინოხელოვნების განვითარების ხელშეწყობა", ,,ფოლკლორის ხელშეწყობა", ,,კულტურული ცხოვრების გააქტიურება და პოპულარიზაცია" ცვლილებების შეტანის შესახებ.

მოისმინეს:

სხდომის საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებმა და დაინტერესებულმა მხარეებმა მოისმინეს კომისიის წევრის - ვალერი ბერაძის მოხსენება, რომელიც შეეხებოდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2014 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებულ პროგრამებში - ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ინვენტარით აღჭურვა", ,,განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა", ,,განათლების ხარისხის გაუმჯობესება", ,,საშემსრულებლო ხელოვნების ხელშეწყობა", ,,აჭარაში კინოხელოვნების განვითარების ხელშეწყობა", ,,ფოლკლორის ხელშეწყობა", ,,კულტურული ცხოვრების გააქტიურება და პოპულარიზაცია", ცვლილებების შეტანას. (იხილეთ მომხსენებლის ვალერი ბერაძის დამატებითი ინფორმაცია განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2014 წლის პროგრამებში გასატარებელი ცვლილებების შესახებ **დანართი 1** -12 გვ.)

აზრი გამოთქვეს და დასვეს შეკითხვები:

რამაზ ბოლქვაძემ დასვა შეკითხვა, პროგრამის ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ინვენტარით აღჭურვა" ქვეპროგრამაში „საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება" თუ რატომ ხდება სსიპ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ აგარის საჯარო სკოლის საპროექტო დოკუმენტაციის ხელახალი შესყიდვა, მაშინ როცა აღნიშნული პროექტი 2013 წელს იქნა შესყიდული.

გარდა ამისა კომისიის წევრებმა და დაინტერესებულმა პირებმა დასვეს შეკითხვები და გამოთქვეს შემდეგი შენიშვნები:

პროგრამის „განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა" ქვეპროგრამაში „უმაღლესი განათლების ხელშეწყობა" არ ჩანს საჯარო ლექციებში ვინ ქმნის კომისიას, ასევე ვინ ატარებს საჯარო ლექციებს. კონფენციების მოწყობასას დაფინანსების მიღება შეუძლია ყველას, უმჯობესია განისაზღვროს კრიტერიუმი, თემატიკა.

პროგრამის „განათლების ხარისხის გაუმჯობესების“ ქვეპროგრამაში „კონკურსები და ოლიმპიადები“ გათვალისწინებულ ღონისძიებებში - ლიტერატურულ მარათონსა და ექსკურსიები საქართველოში და საქართველოს ფარგლებს გარეთ - მიიღებენ თუ არა კერძო სკოლები მონაწილეობას? და ქვეპროგრამის „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომელთა წახალისება“ ახალი ქვეპროგრამის დამატებით იცვლება პროგრამის შინაარსი. სათაურიდან გამომდინარე კერძო სკოლები არ შედის და რატომ? მხოლოდ 12 საშტატო განრიგით გათვალისწინებული თანამშრომლებზე წახალისების გათვალისწინება რამდენად საკმარისია და მიზანშეწონილია.

პროგრამის „საშემსრულებლო ხელოვნების ხელშეწყობა“ არ ჩანს აუდიტორიის კვლევის შედეგად მაყურებელთა ზრდა, რაზეც ახალი ღონისძიება ემატება. წინა წელს ერთობლივი სპექტაკლის შედეგიდან გამომდინერე, გაიზარდა თუ არა მაყურებელთა რაოდენობა და რა გამოწვევებს ველოდებით წელს.

პროგრამის „აჭარაში კინოხელოვნების განვითარების ხელშეწყობა“ რატომ ამოვარდა ანიმაციური ფილემების დაფინანსება? რატომ ამოვარდა პროგრამიდან ანგარიში? ვინ გამოსცემს წიგნს „ბათუმი კინოში?“ რას გულისხმობს საზაფხულო კინოსკოლა? ასევე პროგრამაში ეკონომიების გამოყენება შესაძლებელი იქნება, თუკი პროგრმით გათვალისწინებული კინოპროექტების რაოდენობა უცვლელი დარჩება.

პროგრამის „ფოლკლორის ხელშეწყობა“ არსებობს თუ არ ხარჯთაღრიცხვა შესაძენი ფორმების მიხედვით - ანსამბლის წევრებზე დიდებსა და ბავშვებზე? რა პრინციპით შეირჩევა მუნიციპალიტეტის ანსამბლები, რომლებიც მიიღებენ საცეკვაო ატრიბუტიკას?

პროგრამის „კულტურული ცხოვრების გააქტიურება და პოპულარიზაცია“ ქვეპროგრამაში „ხელოვნებისა და კულტურის საქმიანობის ხელშეწყობა და პოპულარიზაცია“ გაუთვალისწინებელი ღონისძიებები არ უნდა დაემატოს და ქვეპროგრამაში „კულტურული ცხოვრების ხელშეწყობა სოფლად“ მუნიციპალიტეტებთან არსებული კულტურის ცენტრების მიერ წარმოდგენილი რა სახის სახელოვნებო პროექტების დაფინანსება განხორციელდება? ვინ ატარებს სემინარებს?

ასევე დაისვა შეკითხვა პროგრამებსა და ქვეპროგრამებში კოორდინატორების როლის შესახებ, მაშინ როცა ქვეპროგრამებში გათვალისწინებულია ტექნიკური ზედამხედველობის ხარჯები.

კომისიამ დაადგინა:

1. დასმული შეკითხვებისა და გამოთქმული შენიშვნებზე კომისიის წევრის ვალერი ბერაძის განმარტებების მიღების/გათვალისწინების შემდგომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2014 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებულ პროგრამებში - ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ინვენტარით აღჭურვა“, ,,განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა“, ,,განათლების ხარისხის გაუმჯობესება“, ,,საშემსრულებლო ხელოვნების ხელშეწყობა“, ,,აჭარაში კინოხელოვნების განვითარების ხელშეწყობა“, ,,ფოლკლორის ხელშეწყობა“, ,,კულტურული ცხოვრების გააქტიურება და

პოპულარიზაცია“ ცვლილებების შეტანის საკითხი წარდგენილი იქნება მომდევნო პრიორიტეტების სხდომაზე.

კომისიის წევრები:

იოსებ აბულაძე

რომან ბოლქვაძე

ვალერი ბერაძე

კახა შაშიკაძე

მოწვეული სტუმრები:

ნათია აფხაზავა

ციალა ქათამიძე

გიორგი შალამბერიძე

კომისიის თავმჯდომარე **რამაზ ბოლქვაძე**

კომისიის მდივანი ცირა აბულაძე